EUMM

დამკვირვებელი

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საინფორმაციო ბიულეტენი

გამოცემა # 6, 2018 წლის აგვისტო

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები...

პირისპირი დიალოგის შესაძლებლობაა

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების შეხვედრები დაარსდა 2009 წელს, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე მიღებული შეთანხმების შედეგად

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები მონაწილეებს საშუალებას აძლევს ერთმანეთს ესაუბრონ უსაფრთხოებასა და სხვა საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ მცხოვრებ ადამიანებზე.

შეთანხმება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრების ჩატარების შესახებ 2009 წლის თებერვალში ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მეექვსე შეხვედრაზე იქნა მიღწეული.

წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს ადგილებზე ვითარების მართვასა და საქართველოში სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში. წლების შემდეგ შეხვედრის ადგილმა გადაინაცვლა სოფელ ერგნეთში - და დღეს შეხვედრები ტარდება სწორედ იქ, სადაც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზი გადის.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა გალში

აფხაზეთის მიმართულებით ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის პირველი შეხვედრა გაიმართა 2009 წლის ივლისში გალში - აფხაზეთში, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზიდან 10 კილომეტრის მოშორებით მდებარე ქალაქში. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა ყოველთვიურად ტარდება, თუმცა შესაძლებელია, იგი რომელიმე მონაწილის მოთხოვნით მოკლევადიანი შეტყობინების საფუძველზეც იქნას მოწვეული.

დღეისათვის გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის 50-ზე მეტი შეხვედრაა გამართული.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა ერგნეთში

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის თემაზე შეხვედრების ჩატარება დაიწყო 2009 წლის მაისში, სოფელ დვანში. შეხვედრები იმართება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ეუთოს ხელშეწყობით, რომლებიც დისკუსიების დროს მოდერატორების მოვალეობებს ასრულებენ. შეხვედრას ესწრებიან საქართველოს, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სახელისუფლებო წრეები.

შეხვედრა ყოველთვიურად ტარდება, თუმცა აქაც შესაძლებელია, იგი რომელიმე მონაწილის მოთხოვნით მოკლევადიანი შეტყობინების საფუძველზეც იქნას მოწვეული.

შეხვედრებს შორის ინციდენტების ან პრობლემების განსახილველად ასევე ტარდება ტექნიკური შეხვედრები.

დღეისათვის ერგნეთში ჩატარებულია 80-ზე მეტი შეხვედრა.

ინციდენტების პრევენციის, მათზე რეაგირებისა და კონფლიქტების გადაჭრისთვის

მისიას „ცხელი ხაზის“ მეშვეობით შემუშავებული აქვს კონფლიქტის პრევენციისადმი პრაქტიკული და ეფექტიანი მიდგომა. იგი შესაძლებელს ხდის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს შორის კომუნიკაციას, რათა თავიდან იქნას აცილებული დაძაბულობის მატება, რომელსაც კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია. მისია ორგანიზებას უწევს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრას ერგნეთში, მონაწილეობს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრაში გალში და ხელს უწყობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებს.

მისიის მიერ მართული „ცხელი ხაზი“ უზრუნველყოფს დროულ კომუნიკაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დაკავებები, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წვდომა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული სასაზღვო ხაზის გასწვრივ ღობეების, მავთულხლართებისა და საინფორმაციო ნიშნების აღმართვის ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

მისიას ჰყავს „ცხელ ხაზზე“ პასუხისმგებელი ორი პირი. ისინი თავიანთ პარტნიორებთან კომუნიკაციაში შედიან მობილური ტელეფონის ან სკაიპის მეშვეობით, ტექნიკურ შეხვედრებზე ან გალსა და ერგნეთში გამართულ შეხვედრებზე პირისპირ გამართული დისკუსიების დროს. „ცხელი ხაზი“ ყოველდღიურად გამოიყენება.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მიზანია დროული და ეფექტიანი რეაგირება ადმინისტრაციული სასაზღვო ხაზის გასწვრივ მცხოვრები ადამიანებისთვის მნიშვნელოვან უსაფრთხოების გამოწვევებსა და პრობლემებზე. დღის წესრიგი შეიძლება მოიცავდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინციდენტებს, „სასაზღვრო“ ინფრასტრუქტურის მოწყობის გავლენას ადგილობრივ მოსახლეობაზე, დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, ჰუმანიტარული დახმარების ეფექტიანად გაცემას ან ნებისმიერ სხვა პრობლემას, რომელიც შეიძლება გავლენას ახდენდეს ადგილზე არსებულ ვითარებაზე.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი ასევე წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც გამოიყენება ინციდენტების შემდეგ ინფორმაციის გადასამოწმებლად. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა ყოველთვიურად იმართება, თუმცა რომელიმე მონაწილის მოთხოვნით ასევე შეიძლება შედგეს მცირე ხნით ადრე გამოგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები დაიწყო ქალაქ ჟენევაში (შვეიცარია) 2008 წლის ოქტომბერში. ეს ერთადერთი ფორუმია, რომელზეც განიხილება საქართველოში არსებული კონფლიქტის გადაჭის გზები.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები ასევე არის ისეთი პრობლემების განსახილველი პლატფორმა, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ ადმინისტრაციული სასაზღვო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებზე, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო მავნებლების მართვა და ეთნიკური უმცირესობების განათლება. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები წელიწადში ოთხჯერ იმართება. მაშინ, როცა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი და „ცხელი ხაზი“ გამოიყენება კონფლიქტის სამართავად, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები ფოკუსირებულია პოლიტიკურ დონეზე კონფლიქტის გადაჭრაზე.

ცხელი ხაზი, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები არის ის სამი ინსტრუმენტი, რომელიც ინციდენტების პრევენციის, კონფლიქტის მართვისა და კონფლიქტის გადაჭრისათვის გამოიყენება.



მას შემდეგ, რაც „ცხელ ხაზზე“ 2009 წელს პირველი ზარი განხორციელდა, ეს მექანიზმი 6000-ზე მეტჯერ ამოქმედდა.	მონაწილეები ერთმანეთს 44-ჯერ შეხვდნენ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში.	ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სულ 88, გალში კი 57 შეხვედრა ჩატარდა

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები

ერგნეთში

სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტის საკითხების განხილვის მიზნით სამხრეთ ოსეთსა და თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიას შორის არსებულ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები იმართება. შეხვედრების ჩატარებას ერთობლივად ხელს უწყობენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) საქართველოს, რუსეთისა და დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა მონაწილეებს საშუალებას აძლევს ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ, რათა გაცვალონ ინფორმაცია და განიხილონ უსაფრთხოებისა და პრაქტიკულ-ჰუმანიტარული საკითხები. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან სასარგებლოა მონაწილეებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ეს დისკუსიები გამოწვევებითაა სავსე.

ერგნეთში გამართულ შეხვედრებზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადამკვეთი პირების დაკავება, სასაზღვრო ხაზის გასწვრივ მცხოვრები ადამიანებისთვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წვდომა, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ თავისუფალი გადაადგილების აღმკვეთი ბარიერების დადგმა („ბორდერიზაცია“) და სამხედრო აქტივობები ან საწვრთნელი ღონისძიებები.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზე ინფორმაციის გაცვლამ ხელი შეუწყო რუსეთის ან დე-ფაქტო უშიშროების თანამშრომლების მიერ დაკავებული პირების გათავისუფლებას. დისკუსიების შედეგად ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება ფერმერულ მიწასთან წვდომის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ დისკუსიებმა ხელი შეუწყო კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენას.

შეხვედრის მონაწილეები



მონაწილეები დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის მხრიდან

- *დე-ფაქტო* უშიშროების კომიტეტის საზღვრის დაცვის სამსახური
- *დე-ფაქტო* საგარეო საქმეთა სამინისტრო
- *დე-ფაქტო* პროკურატურა
- *დე-ფაქტო* ოფიციალური პირები

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

- მისიის ხელმძღვანელი
- ოპერაციების ხელმძღვანელი
- მისიის „ცხელ ხაზზე“ პასუხისმგებელი პირი
- პოლიტიკური მრჩევლები
- ევროკავშირის ოფიციალური პირები

მონაწილეები რუსეთის ფედერაციის მხრიდან

- რუსეთის უშიშროების ფედერალური ბიურო („ეფ-ეს-ბე“)
- რუსეთის ოფიციალური პირები ცხინვალში

OSCE

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

- ეუთოს თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში
- ეუთოს ოფიციალური პირები
- პოლიტიკის ოფიცრები

თბილისის მიერ ადმინისტრირებული ტერიტორიის წარმომადგენელი მონაწილეები საქართველოს მხრიდან

- საქართველოს უშიშროების სახელმწიფო სამსახური
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- თბილისის ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალური პირები

*Source: http://www.clipartpanda.com

ქმედებისთვის მზადება

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრა ერგნეთში...

შეხვედრები მოითხოვს მასში საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის თანამშრომლების ჩართულობას

შეხვედრა მოიცავს მისიის სათავო ოფისისა და რეგიონალური ოფისების ერთობლივ ძალისხმევას. თვის განმავლობაში და თითოეული შეხვედრის წინ სათავო ოფისი იღებს რეგიონალური ოფისების პატრულირების ჯგუფების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას. მისიის ექსპერტები ახარისხებენ და აანალიზებენ ინფორმაციას, ადარებენ მას წინა მასალებს და ამზადებენ დამხმარე დოკუმენტებს მისიის ხელმძღვანელისთვის. ყოველი შეხვედრის შემდეგ პრესისა და საჯარო ინფორმირების სექციის მიერ მზადდება და მისიის ვებ გვერდზე ქვეყნდება__პრეს-რელიზი. პროცესის შესახებ ანგარიში ასევე ეგზავნება ევროკავშირის წევრ

1

შეთანხმება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრის ჩატარების შესახებ. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ყოველი შეხვედრის ბოლოს მონაწილეები იღებენ გადაწყვეტილებას მომდევნო შეხვედრის ჩატარების დროის შესახებ. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების შეხვედრა შეიძლება საგანგებოდ იქნას მოწვეული მოკლევადიანი შეტყობინების საფუძველზე მნიშვნელოვანი ღონისძიების საპასუხოდ ან გადაუდებელი პრობლემის გადასაჭრელად.

2

მზადების მისიის სათავო ოფისში. მისიის ექსპერტები შეხვედრისთვის ამზადებენ ყველა სათანადო დოკუმენტაციას. ინფორმაცია მოდის ყველა რეგიონალური ოფისიდან, გარე მონაცემებიდან და სტატისტიკიდან, „ცხელ ხაზზე“ პასუხისმგებელი პირებისგან და მისიის მრჩევლებისგან. აღნიშნული ინფორმაცია ერთიანდება და ანალიზდება საინფორმაციო ანგარიშგების საკითხებზე მომუშავე თანამშრომლებისა და პოლიტიკური მრჩევლების ჯგუფის მიერ. საბოლოო პროდუქტი მიეწოდება მისიის ხელმძღვანელს და თანათავმდჯომარეს - ეუთოს სპეციალურ წარმომადგენელს.

3

გორის რეგიონალური ოფისის თანამშრომლები პასუხისმგებელნი არიან კარვის მომზადებაზე, რომელშიც შეხვედრა იმართება. გორის ოფისის თანამშრომლები შეხვედრის დღეს დილიდან მოდიან ადგილზე ლოჯისტიკური საკითხების მოსაგვარებლად. ისინი მართავენ კარავს, რომელშიც უნდა ჩატარდეს შეხვედრა და აწყობენ ყველა საჭირო მოწყობილობას. მონაწილეების ჩამოსვლისათვის ყველაფერი უკვე მზადაა - შეხვედრების კარავი, ადმინისტრაციული კარავი, მაგიდები, სკამები და საკვები.

4

შეხვედრის კარავში მიმდინარე დისკუსიები. შეხვედრა იწყება წინასწარ შეთანხმებულ დროს და იხსნება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ეუთოს წარმომადგენლების მიერ წარმოთქმული გახსნითი სიტყვით. ამის შემდეგ ერთმანეთის მოყოლებით განიხილება შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. დღის წესრიგში არსებული საკითხების რაოდენობისა და სირთულიდან გამომდინარე შეხვედრა შეიძლება გაგრძელდეს ათ საათამდე, მცირე ტექნიკური შესვენებებით, რომლებიც მონაწილეებს მისცემს კონსულტაციების ჩატარების საშუალებას.

5

შეხვედრის დასრულება. დღის წესრიგში არსებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეუძლიათ „ნებისმიერი სხვა საკითხის“ პუნქტის ქვეშ განსახილველად წარმოადგინონ დამატებითი საკითხები. აქ განიხილება მომავალი შეხვედრების შესაძლო თარიღები, ასევე სხვადასხვა საკითხებთან - მაგალითად, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზს მიღმა არსებულ საფერმერო მიწის ან სარწყავი არხის წვდომასთან დაკავშირებული „ტექნიკური შეხვედრების“ ორგანიზების დამატებითი ღირებულება. შეხვედრის დასრულებისა და მონაწილეების გამგზავრების შემდეგ საქმეში ერთვებიან გორის ოფისის დამკვირვებლები და ალაგებენ დილით მოწყობილ ნივთებს.

მედიის დასწრება შეხვედრებზე.

ერგნეთში მიმდინარე შეხვედრებზე მედიის წარმომადგენლთა დასწრება ყოველთვის სასურველია. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შეხვედრებზე მედიის წვდომა და დაცული იყოს შეხვედრის მონაწილეებს შორის კარვის გარეთ გამართული დისკუსიების მყუდრო გარემოში ჩატარება და კონფიდენციალურობა, არსებობს შეხვედრაზე მედიის წარმომადგენლების დასწრების ძირითადი პრინციპები და წესები. თუმცა შეხვედრის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ მედიას ეძლევა საშუალება, მონაწილეებს გადაუღოს ფოტოები, გადაიღოს აუდიო- და ვიდეომასალა და ჩაწეროს ინტერვიუები. **გალში გამართულ შეხვედრას მედიის წარმომადგენლები არ ესწრებიან.**

გზა მშვიდობისკენ

„აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ღონისძიებების შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება“ - ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ექვსპუნქტიანი შეთანხმების მეექვსე პუნქტი.

2008 წლის ომი დასრულდა ევროკავშირის დახმარებით მიღწეული ექვსპუნქტიანი შეთანხმების დადებით, რომელსაც 2008 წლის 12 აგვისტოს ხელი მოაწერეს საფრანგეთის, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა. შეთანხმების მეექვსე პუნქტით განსაზღვრულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უშიშროებისა და სტაბილურობის საკითხებზე საერთაშორისო დისკუსიების დაწყება.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის შესახებ მოლაპარაკებები 2008 წლის სექტემბერში გაიმართა. გაერო, ეუთო და ევროკავშირი ერთობლივად მოქმედებენ და თავმჯდომარეობენ მოლაპარაკებებს. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი არის ერთერთი იმ სამ მთავარ დიპლომატს შორის, რომელიც ამზადებს და ხელს უწყობს დისკუსიების ჩატარებას. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ორ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობს. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს ეხება, ადგილზე არსებულ უსაფრთხოების სიტუაციას მიმოიხილავს.

2008 წლიდან მოლაპარაკებების 44 რაუნდი ჩატარდა. მეექვსე რაუნდის მნიშვნელოვანი წარმატება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის დაარსებაა, რომელიც დეტალურადაა აღწერილი წინამდებარე გამოცემაში.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები არის კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი ფორმატი, რაზეც ყველა მხარე თანხმდება. მოლაპარაკებების მიზანია რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება.

„ყველა მონაწილის ინტენსიური ჩართულობის მიუხედავად ძალის გამოუყენებლობის შესახებ ერთობლივი განცხადებაზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. თანათავმჯდომარეები ამასთან დაკავშირებით კონსულტაციებს განაგრძობენ. სამწუხაროდ, კვლავ შეუძლებელია დღის წესრიგში არსებული ყველა საკითხის შესახებ დისკუსიის დასრულება იძულებით გადაადგილებული პირების/ დევნილების საკითხთან მიმართებაში მხარეების მიმართ დიდი ხნის მანძილზე გამოხატული განსხვავებული მიდგომების გათვალისწინებით.“ ***ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეების პრეს-კომუნიკე, 43-ე რაუნდი, 2018 წლის 28 მარტი.***



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მტკიცედ უჭერს მხარს ნდობის აღდგენას და დიალოგის ხელშეწყობას. ჩვენ ყოველდღიურად ვასრულებთ წამყვან როლს იმ შეხვედრებსა და კომუნიკაციაში, რომელიც ამცირებს დაძაბულობას ადგილზე.

ერიკ ჰოეგი,

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი

მომდევნო გვერდზე იხილეთ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების ფოტოგალერეა!

EUMM
დამკვირვებელი
მისიის საინფორმაციო ბიულეტენი
გამოცემა # 6, 2018 წლის აგვისტო

1. 2009 - ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრის ადრეული წლები. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, ელჩი ჰანსიორგ ჰაბერი დვანში შეხვედრის მონაწილეებს მიმართავს.
2. 2011 - მისიის ხელმძღვანელი, ელჩი ანდჟეი ტიშკევიჩი დვანში შეხვედრის მონაწილეებს ესალმება.
3. 2015 - მე-60 შეხვედრა ერგნეთში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი, ელჩი კიასტუტის იანკაუსკასი შეხვედრას ხსნის.

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მოუწოდებს მხარეებს თანამშრომლობისკენ ინციდენტების პრევენციის მექანიზმისთვის შეხვედრებზე დასწრების მეშვეობით.“

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის 2009 წლის მაისის განცხადება.

4

4. 2018 - 87-ე შეხვედრა ერგნეთში. მისიის ხელმძღვანელმა, ერიკ ჰოგმა შეხვედრის ყველა მონაწილე მოიწვია ერთობლივი სურათის გადასაღებად.
5. 2018 - 54-ე შეხვედრა გალში - დღის წესრიგის წინასწარ შეთანხმებული პუნქტების მიმდინარე განხილვა.

5

6

6. 2017 - 83-ე შეხვედრა ერგნეთში - შეხვედრის დასრულების შემდეგ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ეუთოს წევრები ადგენენ შეხვედრის შედეგების ამსახველ ერთობლივ პრეს-რელიზს.

CHECK IT OUT!

მოგეწონათ?

იხილეთ ჩვენი ონლაინ-გალერეა და გაიგეთ მეტი **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა** და მისი **საქმიანობის** შესახებ

Scan the QR Code with your smartphone to learn more.

გამოცემულია საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ

დაგვიკავშირდით: press@eumm.ge

- **დეზ დოილი,** პრესსპიკერი: des.doyle@eumm.eu
- **იულიუ დრაგიჩი,** პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი:: Iuliu.Draghici@eumm.eu
- გვეწვიეთ:: www.eumm.eu, www.facebook.com/eumm.geo и www.flickr.com/photos/eeas-csdp/albums/72157677976230403

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში ერთადერთი მისიაა, რომელიც უშუალოდ სადამკვირვებლო საქმიანობაზეა კონცენტრირებული. 2016 წლის 12 დეკემბერს ევროპის საბჭომ მისიის **მანდატი** 2018 წლის 14 დეკემბრამდე გააგრძელა. მოსალოდნელია, რომ ევროპის საბჭო მისიის მანდატს კვლავ გააგრძელებს 2020 წლის დეკემბრამდე.

ბ-ნი ერიკ ჰოეგი (დანია) არის მისიის ხელმძღვანელი. მას წინ უძღვოდნენ კიასტუტის იანკაუსკასი (ლიეტუვა), ტოივო კლაარი (ესტონეთი), ანდჟეი ტიშკევიჩი (პოლონეთი) და ჰანსიორგ ჰაბერი (გერმანია).

European Union Monitoring
Mission in Georgia

www.eumm.eu